ბიზნეს პარტნიორის ქცევის კოდექსი

ბიზნეს პარტნიორის ქცევის კოდექსი (შემდგომში „კოდექსი“) ძირითად მოთხოვნებსა და პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს ვიონი საქართველოს ყოველი ბიზნეს პარტნიორისთვის. ვიონი საქართველო იტოვებს უფლებას, გარკვეული პერიოდულობით და გონივრულობის ფარგლებში, მოახდინოს კოდექსის მოდიფიცირება.

კოდექსი ვრცელდება VEON ჯგუფთან არსებულ ურთიერთობებზე , რომელიც თავისმხრივ გულისხმობს შპს VEON-სა და ნებისმიერ ოპერაციულ კომპანიას, მათ შორის შპს „ვიონი საქართველოს“ ,რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან ნაწილობრივ იმპყოფება VEON ჯგუფის მფლობელობაში ან კონტროლდება მის მიერ და ერთობლივად მოიხსენიება როგორც ვიონი.

ჩვენი ბიზნეს პარტნიორები

VEON-ის მიზანია შექმნას საუკეთესო მიწოდების ჯაჭვი და მოითხოვს ბიზნეს პარტნიორებისგან (ვენდორები, მომწოდებლები, აგენტები, კონტრაქტორები, კონსულტანტები, შუამავლები, დილერები, დისტრიბუტორები, მომსახურების მომწოდებელ მესამე მხარეები) უზრუნველყონ რისკისგან თავისუფალი ბიზნეს ურთიერთობები, ყველა მოქმედი კანონისა და უმაღლესი ეთიკური სტანდარტების დაცვით, რომლებიც აკმაყოფილებენ ან აჭარბებენ წინამდებარე კოდექსში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

გამოყენების სფერო

წინამდებარე „კოდექსი“ ვრცელდება ბიზნეს პარტნიორებსა და მათ შვილობილ კომპანიებზე, ქვეკონტრაქტორებსა და აგენტებზე, რომლებიც მოქმედებენ, როგორც მათი პროდუქტებისა და მომსახურებების ლიცენზირებული / უფლებამოსილი (ავტორიზებული) გადამყიდველები შპს ვიონი საქართველოსთან ურთიერთობაში. ჩვენი მოთხოვნაა ბიზნეს პარტნიორებმა თავის მხრივ, საკუთარ პარტნიორებს გაუზიარონ და მოსთხოვონ წინამდებარე „კოდექსის“ პრინციპების აღიარება.

ზოგადი პრინციპები

სტაბილური საქმიანობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, ეთიკური ქმედებისა და პროფესიული კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტებით ხელმძღვანელობა ჩვენი გრძელვადიანი საქმიანობის (ბიზნესის) გარანტიაა. ჩვენ ერთგულად ვიცავთ აღნიშნულ პრინციპებს და ბიზნეს პარტნიორებისაგან ვითხოვთ გაიზიარონ ჩვენი პრინციპებისადმი ერთგულება და იყვნენ თანხვედრაში წინამდებარე კოდექსთან, რომელიც შემუშავდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, როგორიცაა „ელექტრონული ინდუსტრიის მოქალაქეთა კოალიციის ქცევის კოდექსი“, „ერთიანი აუდიტორული თანამშრომლობის მიწოდების ჯაჭვის მდგრადობის სახელმძღვანელო“, მათ შორის „საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის“ კონვენციები და საკანონმდებლო და მარეგულირებლის მოთხოვნები.

კანონთან შესაბამისობა

ვიონი საქართველო აღიარებს ყველა მოქმედ კანონს, რომელიც მასზე ვრცელდება, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ანტიკორუფციულ კანონი , სადაც ვიონი საქართველო როგორც VEON ჯგუფის წევრი ირიცხება ამერიკის საფონდო ბირჟაზე - ნაზდაქზე, ნიდერლანდების კანონებთან, სადაც ვიონი საქართველოს სათაო ოფისია განთავსებული და ასევე ირიცხება საფონდო ბირჟის ჩარმონათვალში, და იგივეს მოითხოვს მისი ბიზნეს პარტნიორებისგან - დაიცვან ყველა მოქმედი კანონი. არც ჩვენ, არც ჩვენი ბიზნეს პარტნიორები არ წამოიწყებენ ისეთ საქმიანობას ან დათანხმდებიან ისეთ რისკს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს არაეთიკური ქცევის შედეგები, ან მოქმედი კანონების დარღვევა.

როდესაც მოქმედი კანონმდებლობა და წინამდებარე კოდექსი ერთნაირად განიხილავს საკითხს, განხილული უნდა იყოს მათ შორის უმაღლესი სტანდარტი. იმ შემთხვევაში როდესაც კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა კონფლიქტშია, ადგილობრივი კანონმდებლობის უმაღლესი სტანდარტი გამოიყენება.

ქრთამი და კორუფცია

ვიონი საქართველო <u>არ</u> დაუშვებს კორუფციისა და ქრთამის აღება-გაცემის არანაირ შემთხვევას და ამასთან, სასტიკად კრძალავს ნებისმიერი სახის კორუფციას, ქრთამის მიღება-გაცემას, უკანონოდ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ გადახდებს, თაღლითობას, ქურდობას, ფულის გამოძალვასა და მითვისება-გაფლანგვას. ბიზნეს პარტნიორები უნდა შეესაბამებოდნენ ყველა მოქმედ ანტიკორუფციულ კანონს და აწარმოონ ზუსტი და დეტალური ჟურნალები და ჩანაწერები, რომლებშიც სწორად აისახება მათ მიერ განხორციელებული ტრანზაქციები და არ იქნება შეტანილი რაიმე ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. არ მოითხოვენ, გასცემენ, შესთავაზებენ, შეპირდებიან, და არ დათანხმდებიან მიიღონ თანხა ან რაიმე ღირებული ბიზნესპარტნიორისგან, პირდაპირ თუ ირიბად, მესამე პირის საშუალებით, ვიონი საქართველოსთვის არამართლზომიერი უპირატესობის მოპოვების მიზნით.

ბიზნეს პარტნიორებს მოეთხოვებათ წარმართონ საკუთარი ანტიკორუფციული კომპლაენს პროგრამა დანაშაულებრივი ქმედების ან კანონის სავარუდო დარღვევის ხელშეშლისა და აღმოფხვრის მიზნით, თავიანთი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში.

საჩუქრები და მასპინძლობა

ბიზნეს პარტნიორები, პირდაპირ თუ ირიბად, არ შესთავაზებენ საჩუქრებს, მასპინძლობასა და სხვა სარგებელს VEON-ის თანამშრომლებსა და წარმომადგენლებს მათზე არაკეთილსინდისიერი გავლენის მოხდენის მიზნით და არ შესთავაზებენ VEON-ის თანამშრომლებს რაიმე საჩუქრებსა თუ მასპინძლობას მიუხედავად მისი ღირებულებისა, ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების, აუქციონის, ტენდერის ან გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში..

ეთიკური ქცევა

ეთიკური ქცევა გულისხმობს, ვიმოქმედოთ ისე როგორც სწორია და არა უბრალოდ დავიცვათ კანონი. ვიონი საქართველო ეთიკური პრინციპებით მოქმედებს და იგივეს მოელის მისი ბიზნესპარტნიორებისგან - ჩვენთან და ნებისმიერ ჩვენთან დაკავშირებულ ბიზნეს ურთიერთობისას. მარტივად რომ აღინიშნოს, პატიოსნება და კეთილსინდისიერება უპირველეს ყოვლისა.

კოდექსში მოცემული პრინციპები აწესებს მინიმალურ სტანდარტს ბიზნესპარტნიორებისთვის. ჩვენი მოწოდებაა ჩვენი ბიზნეს პარტნიორებისთვის დაიცვან და გაცდნენ წინამდებარე სტანდარტებს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ადგილობრივი კანონმდებლობა და რეგულაციები ბუნდივანია ან რთულდ შესრულებადი.

ბიზნესპარტნიორი, რომელიც ვერ შეძლებს წინამდებარე სტანდარტების დაცვას არ იქნება სასიკეთოდ განხილული მომავალი სამუშაოს შესასრულებლად და შესაძლოა შეწყდეს ერთერთი ან ყველა საქმიანი ურთიერთობა მასთან.

დიუ დილიჯენსი იგივე გაფართოებული შესწავლა

ვიონი საქართველო აწარმოებს შესაბამის, რისკზე დაფუძლებული დიუ დილიჯენს პროცესს ბიზნეს პარტნიორის შერჩევისას, რომლებმაც წარმატებით უნდა გაიარონ ანტიკორუფციული დიუ დილიჯენს პროცესი საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე. ბიზნეს პარტიორებს მოეთხოვებან ითანამშრომლონ წინამდებარე დიუ დილიჯენს პროცესში ვიონი საქართველოსთან, ზედმიწევნით შეავსონ ყველა კითხვარი, უზრუნველყონ მოთხოვნილი დოკუმენტების მიწოდება და ღიად გაამჟღავნონ მფლობელობისა და აფილირებული სუბიექტების შესახებ ინფორმაცია.

კონფიდენციალობა და მონაცემთა უსაფრთხოება

ბიზნეს პარტნიორები

- დაიცავენ ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალობას, რომელიც ეხება ვიონი სქართველოს მომხმარებლებს, ბიზნესის საქმიანობას, ხელშეკრულებებს, პროექტებს, ფინანსურ მდგომარეობას ან შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიღებულია კონკრეტული შინაარსის წერილობითი ნებართვა.
- დაიცავენ იმ პირების მოთხოვნებსა და მოლოდინებს პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ, ვისთანაც

თანამშრომლობენ.

- უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაუთქმელობისა და უსაფრთხოების წესების დაცვას და მარეგულირებლის მოთხოვნებს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის დროს.
- უზრუნველყოფენ მომხმარებლის მონაცემების უსაფრთხო დაცვას და მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციის გაუთქმელობას.
- უზრუნველყოფენ მონაცემთა დაცვის უსაფრთხოებას და შესაბამის მონაცემთა დაცვის სისტემებს.
- სათანადო ზედამხედველობას გაუწევენ მათ თანამშრომლებს, რომლებიც ურთიერთქმედებენ ვიონი საქართველოს მონაცემებსა და მომხმარებელთა მონაცემებთან.

ანტიკონკურენტული ქცევა

ბიზნეს პარტნიორმა არ უნდა დაარღვიოს კონკურენციის კანონი ან ანტიმონოპოლიური რეგულაციები, ან არ უნდა ჩაერთოს ზემოხსენებული წესების რაიმე სახით დარღვევის მცდელობას. ბიზნეს პარტნიორები უნდა ერთგულებდნენ სამართლიან ბიზნესს, რეკლამის განთავსების წესებს და კონკურენციის სტანდარტებს.

ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნება, მაშინ როდესაც ბიზნეს პარტნიორის (ან მასთან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფ პირის) პირადი ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის ვიონი საქართველოს ინტერესთან.ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა იყოს აქტუალური (კონფლიქტი რეალურად არსებობს), პოტენციური (გარემოება არსებობს ან შესაძლოა წარმოიშვას) ან სავარაუდო (კონფლიქტი არ არსებობს თუმცა შესაძლოა გონივრული შეფასებით აღიქმებოდეს როგორც კონფლიქტი). ბიზნეს პარტნიორებმა თავიდან უნდა აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ვიონი საქართველოსთან ბიზნეს საქმიანობისას. როდესაც შეუძლებელია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, ბიზნეს პარტნიორმა აღნიშნულის შესახებ უნდა განაცხადოს ვიონი საქაღთველოს შესაბამის თანამშრომელთან ე.წ ბიზნეს ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან ან ვიონი საქართველოს ეთიკისა და კომპლაენს ფუნქციასთან.

ინტელექტუალური საკუთრება

ბიზნეს პარტნიორმა პატივი უნდა სცეს ვიონი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს და უნდა განახორციელონ ტექნოლოგიის გადაცემა ისეთი ფორმით, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს იცავს.

ფულის გათეთრება

ბიზნეს პარტნიორი მტკიცედ ეწინააღმდეგება ფულის გათეთრების ნებისმიერ ფორმას და მიიღებს ყველანაირ ზომას, რომ მისი ფინანსური ტრანზაქციები არ იქნეს გამოყენებული ფულის გათეთრების საშუალებად.

სიტყვიერი ხელშეკრულების აკრძალვა

ვიონი საქართველო კრძალავს სიტყვიერი ხელშეკრულების გაფორმებას ბიზნეს პარტნიორებთან. სამუშაოს შესრულებამდე ვიონი საქართველო და ბიზნესპარტნიორი წერილობით უნდა შეთანხმდნენ ყოველი ტრანზაქციისა თუ ურთიერთობის წესებსა და პირობებზე.

საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკის სანქციები

ბიზნეს პარტნიორებმა უნდა დაიცვან საერთაშორისო ვაჭრობისა (მათ შორის, იმპორტისა და ექსპორტის / რეექსპორტის კონტროლი) და ეკონომიკის მოქმედი სანქციები, კანონები და რეგულაციები. ბიზნეს პარტნიორები არ უნდა აწარმოებდნენ ბიზნესს ისეთ მხარეებთან ან ისეთი იურისდიქციის ფარგლებში, სადაც მოქმედი კანონები თუ რეგულაციები კრძალავენ ტრანზაქციებს.

ადამიანის უფლებები

ბიზნეს პარტნიორმა პატივი უნდა სცეს და მხარი დაუჭიროს ადამიანის საყოველთაო უფლებებს, რომლებიც გაცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში".

ბიზნეს პარტნიორები:

- ყველას მოექცევიან ღირსეულად და პატივისცემით , მენტალური ან ფიზიკური სისასტიკისა და რაიმე სახის შევიწროების ან დაშინების გარეშე.
- არ გამოიყენებენ იძულებითი შრომის არც ერთ ფორმას, ვალის გამო, სურვილის საწინააღმდეგო თუ იძულებით შრომას.
- არ მოითხოვენ თავიანთი თანამშრომლებისაგან მთავრობის მიერ გაცემული ოფიციალური საიდენტიფიკაციო მოწმობების, პასპორტებისა და სამუშაო უფლებების გადაცემა-ჩაბარებას, როგორც დასაქმების პირობას.
- უზრუნველყონ, რომ შრომითი ურთიერთობა მათსა და დასაქმებულს შორის ეფუძნება თავისუფალ არჩევანს და არ მოიცავს საფრთხეს, დაშინება-მუქარასა და იძულებას.
- არ გამოიყენებენ ბავშვთა შრომას[1].
- მხარს დაუჭერენ ღია და პატიოსან შრომით ურთიერთობას თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის შურისძიების, დამსჯელი ღონისძიებების, დაშინებისა თუ შევიწროების გარეშე და აღიარებენ, კანონის ფარგლებში, დასაქმებულთა თავისუფალი ასოციაციის უფლებას.
- არ დაუშვებენ ნებისმიერი პროდუქტის ან მომსახურების შეძენას, რომელიც -- მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში -- გულისხმობს ადამიანებით ვაჭრობას ან მონობას ან ადამიანის უფლებების დარღვევას.

დისკრიმინაციის არარსებობა

სამსახურში აყვანის ან სამუშაო პრაქტიკების დროს, ბიზნეს პარტნიორი არ დაუშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას კანონით დაცული კლასის, მაგალითად ასაკის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, ადგილობრივის (აბორიგენის) სტატუსის, ეროვნული წარმომავლობის, სქესის, სქესობრივი იდენტობისა და გამოხატულების, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, ორსულობის, სამედიცინო მდგომარეობის, რელიგიის, სოციალური წარმომავლობისა და სტატუსის, პოლიტიკური შეხედულების, სავაჭრო თუ სხვა კავშირის წევრობის, საქორწინო თუ ვეტერანის სტატუსის მიმართ.

დასაქმების პირობები

ბიზნეს პარტნიორები ცხადად და სამართლიანად განსაზღვრავენ დასაქმების წესებსა და პირობებს და უზრუნველყოფენ შესაფერის ანაზღაურებას სახელფასო მინიმუმის შესახებ მოქმედი ეროვნული წესდების შესაბამისად და თანხვედრაში იყოს შესაბამის მოქმედ კანონებში გაწერილი სამუშაო საათების მაქსიმალურ რაოდენობასთან.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ბიზნეს პარტნიორებმა საკუტარ სამუშაო სივრცეებში უნდა უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით, მათ შორის სანიტარული და ჰიგიენური სივრცეები თანამშრომლებისთვის. VEON-ის კუთვნილ ტერიტორიაზე მომხდარი ან ვიონი საქართველოს სივრცეებში/ტერიტორიაზე შესრულებული სამუშაოების წარმართვისას, სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა ფატალური შემთხვევისა და ინციდენტის შესახებ, რომელიც თითქმის ფატალური დაზიანებით სრულდება, უნდა ეცნობოს ჩვენს კომპანიას.

უბედური შემთხვევა და გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას მზადყოფნა

ბიზნეს პარტნიორმა უნდა უზრუნველყოს უბედური შემთხვევების, ჯანმრთელობის პრობლემებისა და წინასწარ განჭვრეტადი გადაუდებელი დახმარების საჭიროებებისათვის მზადყოფნა. ბიზნეს პარტნიორები ასევე ჩაიწერენ, გამოიძიებენ და ისწავლიან წარსული შემთხვევებისა და გადაუდებელი სიტუაციებიდან.

[1] იქ, სადაც მოქმედი კანონი არ აწესებს დასაქმების მინიმალურ კანონიერ ასაკს, ტერმინი "ბავშვი" გულისხმობს ნებისმიერ პირს 15 წელს ქვემოთ.

გარემოს დაცვა და დაბინძურების თავიდან არიდება

ბიზნეს პარტნიორები უნდა მოქმედებდნენ გარემოს დაცვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და უნდა უერთგულონ გარემოს დაცვის შესახებ მოქმედ კანონებს პასუხისმგებელი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. ისეთ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობა ნაკლებ განვითარებულია ან არ ექვემდებარება ჯეროვან აღსრულებას, ბიზნეს პარტნიორები უნდა ესწრაფოდნენ გარემოს დაბინძურების დონის მინიმუმამდე შემცირებას. იმ პროდუქტებისა და მომსახურების ინოვაციური განვითარება, რომლებიც გარემოსა და სოციალური დაცვის კუთხით სარგებელს ქმნის და გარემოსათვის უსაფრთხო ტექნოლოგიის გამოყენება უნდა იქნეს წახალისებული. ბიზნეს პარტნიორები იმუშავებენ იმ ქმედებების შერბილება-გამოსწორებაზე, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლეზე, ველურ ბუნებასა და გარემოზე.

კოდექსთან შესაბამისობის პროგრამა

ბიზნეს პარტნიორები დაიცავენ წინამდებარე კოდექსის ყველა პუნქტსა და საკითხს. თუკი შესაბამისი ფორმალური პროგრამა არ არსებობს, ბიზნეს პარტნიორმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამისა ან სისტემის დანერგვა და მუდმივად მიისწრაფვოდეს განვითარებისკენ.

შეტყობინება

ბიზნეს პარტნიორები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გვაცნობონ კოდექსის ნებისმიერი სავარაუდო ან უკვე ცნობილი დარღვევის ფაქტების შესახებ. თუ თვლით, რომ ვინმემ შესაძლოა დაარღვია წინამდებარე კოდექსი დაუკავშირდით ადგილობრივ ეთიკისა და კომპლაენს ფუნქციას compliance@beeline.ge, ან სათაო ოფისის (HQ) ეთიკისა და კომპლენს ფუნქციას შემდეგ მისამართზე: compliance@veon.com. პრობლემის შესახებ ინფორმაცია ასევე, შეგიძლიათ დააფიქსიროთ www.veon.com/speakup ბმულის გამოყენებით. ვიონისთვის მიუღებელია შევიწროვების, შეურაცხყოფის ან დაშინების ნებისმიერი ფორმა იმ პირის მიმართ, რომელმაც კეთილსინდისიერად განაცხადა პრობლემის შესახებ. იმ პირმა, რომელიც, კეთილი მიზნით, შეგვატყობინებს პოტენციური დარღვევის შესახებ და ამის გამო გახდება შურისგების ან სხვა უარყოფითი რეაქციის მსხვერპლი, დაუყოვნებლივ უნდა გვაცნობოს ამის შესახებ ზემოთ გაწერილი არხების საშუალებით.

ყოველწლიური კორპორატიული პასუხისმგებლობა

ვიონი საქართველო იტოვებს უფლებას საჯაროდ განაცხადოს ამ „კოდექსის“ განხორციელების შესახებ მისი ყოველწლიური კორპორატიული პასუხისმგებლობის ანგარიშის საშუალებით. ანგარიშში არ იქნება დასახელებული კონკრეტული ბიზნეს პარტნიორები და ნებისმიერი შემთხვევის კვლევა ანონიმური იქნება ისე, რომ ბიზნეს პარტნიორების იდენტობა ვერ იქნება განსაზღვრული, თუკი სხვაგვარად არ იქნება წინასწარ შეთანხმებული.